საქართველოს რაგბის კავშირის გამგეობის სხდომა

5 აპრილი, 2024 წ. | სასტუმრო მარიოტ თბილისი | დასაწყისი 10:00 საათზე

სხდომას ესწრებოდნენ

ააიპ „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს გამგეობის წევრები

მერაბ ანთაძე	(დაბადებული 04.08.1952 წ., პირადი № 01005001907)
კობა გიორგაძე	(დაბადებული 26.10.1979 წ.; პირადი № 60001009009)
თორნიკე გოგებაშვილი	(დაბადებული 16.01.1989 წ; პირადი№ 12001014781)
მამუკა გორგოძე	(დაბადებული 14.07.1984 წ; პირადი № 01031003677)
აკაკი დავითულიანი	(დაბადებული 01.06.1975 წ.; პირადი № 12001031106)
ზვიად თავართქილაძე	(დაბადებული 06.09.1975 წ.; პირადი № 01029001924)
დავით კაჭარავა	(დაბადებული 16.01.1985 წ.; პირადი № 01035000140)
გიორგი კობახიძე	(დაბადებული 23.11.1953 წ., პირადი № 01011021299)
იოსებ ტყემალაძე	(დაბადებული 25.12.1976 წ., პირადი № 01024009582)
გრიგოლ ქერაშვილი	(დაბადებული 16.03.1956 წ.; პირადი № 35001058678)
გელა ქობულაძე	(დაბადებული 30.04.1986 წ.; პირადი № 61006019618)
გივი ჭიჭინაძე	(დაბადებული 02.07.1959 წ.; პირადი № 01009002077)
ალექსანდრე ხვედელიძე	(დაბადებული 21.10.1965 წ; პირადი № 01014002287)

სხდომის მომწვევი: დავით კაჭარავა, სრკ-ს გამგეობის თავმჯდომარე

სხდომის თავმჯდომარე: დავით კაჭარავა

სხდომის მდივანი: ნატალია კურტანიძე

სხდომაზე დამსწრე სხვა პირები

- სრკ-ს განვითარების დირექტორი რამა ჩანდი
- სრკ-ს განვითარების დირექტორატის თანამშრომელი ივანე დავითაშვილი
- სრკ-ს განვითარების დირექტორატის თანამშრომელი გიორგი ტყეშელიაძე
- სრკ-ს კომერციული დირექტორი მაია შიშნიაშვილი
- სრკ-ს კადრების მენეჯერი თამარ გიორგობიანი
- სრკ-ს იურისტი ედუარდ ნაჭყებია

სხდომამ განიხილა დღის წესრიგში შემავალი შემდეგი საკითხები:

1. საქართველოს ჩემპიონატის საპრიზო ფონდი;
2. საქართელოს მორაგბეთა ეროვნულ ნაკრებზე 2023 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფარგლებში დღიური ანაზღაურების გაცემის წესში ცვლილება;
3. რეგიონული ლიგის დასავლეთ დივიზიონში არსებული მდგომარეობა;
4. შვიდკაცა რაგბის პროექტი;
5. თანამშრომელთა ანაზღაურების წესი სასპონსორო ან სარეკლამო დამკვეთის მოზიდვის შემთხვევაში;

6. საინფორმაციო განახლება:
    - შპს „ანაგი დეველოპმენტი 1“-თან ურთიერთობის სტატუსი;
    - საკლუბო რეფორმა;
    - სრკ-ს ორგანიზაციული სტრუქტურის შიგნით სტრუქტურული ერთეულების გადაადგილების შესახებ.

პირველ საკითხთან დაკავშირებით, სრკ-ს გამგეობის თავმჯდომარემ დავით კაჭარავამ წარმოადგინა საქართველოს ჩემპიონატის საპრიზო ფონდის განაწილების პროექტი. ამასთანავე, დავით კაჭარავამ ყურადღება გაამახვილა ესპუართა ლიგის საპრიზო ფონდზე, რომელიც წინა პერიოდში ნაწილდებოდა მხოლოდ I-III ადგილოსან გუნდებზე და შემოვიდა წინადადებით საპრიზო თანხა ასევე გადაეცეს აღნიშნული ლიგის IV ადგილოსანს, რათა კიდევ უფრო გაიზარდოს ესპუართა ლიგაში მონაწილეობის მოტივაცია.
საპრიზო ფონდის პროექტი (ესპუართა ლიგასთან დაკავშირებული წინადადების ჩათვლით) დამტკიცებულ იქნა ერთხმად (იხ. დანართი 1).

მეორე საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა საქართელოს მორაგბეთა ეროვნულ ნაკრებზე 2023 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფარგლებში დღიური ანაზღაურების გაცემის წესს, სრკ-ს აღმასრულებელმა დირექტორმა თორნიკე გოგებაშვილმა დამსწრეებს განუმარტა ამ კონკრეტული ტურნირისთვის დღიური ანაზღაურების გაცემის წესის შეცვლის მიზეზები და წარმოადგინა საქართელოს მორაგბეთა ეროვნულ ნაკრებზე 2023 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფარგლებში დღიური ანაზღაურების გაცემის წესის ახალი რედაქცია.
გამგეობის წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს წარმოდგენილი პროექტი (იხ. დანართი 2), თუმცა აღნიშნეს, რომ მომავალი მსოფლიო თასის ციკლში აუცილებელია საქართელოს მორაგბეთა ეროვნულ ნაკრებზე დღიური ანაზღაურების გაცემის სისტემის საფუძვლიანად გადახედვა და შეცვლა.

მესამე საკითხთან დაკავშირებით სიტყვით გამოვიდა გამგეობის წევრი გრიგოლ ქერაშვილი, რომელმაც მოახსენა დამსწრეებს რეგიონულ ლიგაში, კერძოდ კი მის დასავლეთ დივიზიონში არსებული მდგომარეობის შესახებ. კერძოდ, მან ისაუბრა მატჩების ხშირი გადადების, დასრულებული თამაშების შედეგების გაბათილების, მოთამაშეების არასრულყოფილი რეგისტრაციის და სხვა პრობლემების შესახებ და ითხოვა ახსნა-განმარტება აღნიშნულთან დაკავშირებით. იგი ასევე შემოვიდა წინადადებით რეგიონულ ლიგაში მონაწილე კლუბებს დაუწესდეს გარკვეული სამონაწილეო მოთხოვნები, მაგალითად, ჭაბუკთა ლიგის და/ან საფესტივალო გუნდების ყოლა, რაც შეამცირებს ლიგაში არასრული სტრუქტურის მქონე კლუბების მონაწილეობას.
სრკ-ს განვითარების დირექტორმა რამა ჩანდმა განმარტა, რომ რეგიონულ ლიგაში არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად, სრკ გეგმავს მომავალი სეზონიდან ელექტრონული რეგისტრაციის შემოღებას, რაც გამორიცხავს არსებული პრობლემების უმრავლესობას.

მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, სრკ-ს დირექტორმა რამა ჩანდმა დამსწრეებს გააცნო შვიდკაცა რაგბის განვითარების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს რაგბის ამ სახეობის განვითარებას შიდა ტურნირების სისტემის, მოთამაშეთა სელექციისადმი განსხვავებულ

მიდგომას და საგანგებოდ შვიდკაცასთვის შემუშავებულ საწვრთნელ პროგრამას, რაც მიზნად ისახავს აღნიშნული ნაკრების სპორტული შედეგების გაუმჯობესებას და უფრო პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნიებზე - მათ შორის მსოფლიო რაგბის სერიებზე და საზაფხულო ოლიმპიადებზე გასვლას.
პროექტი დამტკიცებულ იქნა ერთხმად; ამასთან, სრკ-ს პრეზიდენტმა რამა ჩანდს დაევალა წარმოდგენილი კონცეფციის საფუძველზე ეტაპობრივი გეგმისა და თითოეული ეტაპის შესაბამისი ბიუჯეტის დამუშავება.

მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, სრკ-ს კომერციულმა დირექტორმა მაია შიშნიაშვილმა მოახსენა გამგეობის წევრებს სრკ-ს თანამშრომელთა დამატებითი საქმიანობის წახალისების აუცილებლობის შესახებ, კერძოდ კი - გააცნო მათ თანამშრომელთა ანაზღაურების წესი სასპონსორო ან სარეკლამო დამკვეთის მოზიდვის შემთხვევაში. გამგეობის წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს ხსენებული პროექტი; აღინიშნა, რომ სრკ-მ უნდა გააგრძელოს მუშაობა თანამშრომელთა წახალისების სხვა მექანიზმებზეც.

ინფორმაციის სახით, გამგეობის წევრებმა მოისმინეს მოხსენებები:
1. სრკ-ს საერთაშორისო სტრატეგიის და მიღწეული შედეგების თაობაზე;
2. შპს „ანაგი დეველოპმენტი 1“-თან ურთიერთობის სტატუსზე;
3. საკლუბო რეფორმის სხვადასხვა კომპონენტებზე;
4. სრკ-ს ორგანიზაციული სტრუქტურის შიგნით ერთეულების გადაადგილების პროექტზე.

მერაბ ანთაძე _____

კობა გიორგაძე _____

თორნიკე გოგებაშვილი _____

მამუკა გორგოძე _____

აკაკი დავითულიანი _____

ზვიად თავართქილაძე _____

დავით კაჭარავა _____

გიორგი კობახიძე _____

იოსებ ტყემალაძე _____

გრიგოლ ქერაშვილი _____

გელა ქობულაძე _____

გივი ჭიჭინაძე _____

ალექსანდრე ხვედელიძე _____